ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4205284

ნომერი: AR1633743

თარიღი : 27.09.2018

გაცემის თარიღი : 08.10.2018

გაცნობის თარიღი : 08.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ნიკოლაძე , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ გაგლოშვილი პ/ნ 11001002659
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 24

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3812690
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.02.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
გაცნონენთ, რომ ამ სახის მშენებლობას სამსახური ვერ დაადასტურებს.
პირველ რიგში მიუღებელია ფასადის ამგვარად მოპირკეთება და შეღებვა. აღნიშნული უნდა იყოს მოპირკეთებული აგურის ფილებით. პროექტით თეთრი ფერით ღებვა არ არის განსაზღვრული. აღნიშნული ნაწილები წარმოდგენილია ბეჟი ფერით. შეცვალეთ . მოაწყეთ პროეტქით განსაზღვრული კედლები 5 ღერძის მხარეს, ორივე ფასარზე.
აღნიშნული უნდა იყოს ამოშენებული ბლოკით და შეფუთული ხის მასალით. მოაწყეთ ისე როგორც პროექტითაა განსაზღვრული. გაითვალისწინეთ ხის მასალა უნდა დამუშავდეს ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით. რაც შეეხება გათბობა კონდენცირების დანადგარებს აღნიშნული უნდა მოეწყოს მხოლოდ პროექტით განსაზღვრულ ადგილებში. სხვაგვარად მოწყობილი დანადგარები ჩამოხსენით. ფოტოებზე ნაჩვენები გათბობა/კონდენცირების კარადების ფასადები მიუღებელია. მოაწყეთ პროექტით განსაზღვრული ხის დეკორატიული ჭალუზებით. პროექტით არ არის განსაზღვრული ქვაბების მილები და აღნიშნული მოაწყეთ ერთიანი სისტემით, მოწესროიგებულად. წყალშემკრები მილები მოაწყეთ პროექტის შესაბამისად. აღნიშნული პროექტით არის რუხი ფერის, სავარაუდოდ მეტალის ფაქტურის, ხოლო თქვენს მიერ მოწყობილია თეთრი პლასტმასის წყალშემკრები მილები. შეცვალით. ასევე დაასრულეთ ყველა სამუშაო რაც აღწერილია უარის თქმის დოკუმენტში. ღებვა, მოპირკეთება და ასევე მოაწყეთ ავტოფარეხის კარი. რაც შეეხება საჰაერო ღარებს გაითვალისწინეთ აღნიშნული არ უნდა იყოს მოწყობილი სამეზობლო მიჯნის დარღვევით ან უსისტემოდ. ამ ნაწილზე სამსახური იმსჯელებს ახალი ფოტოების წარდგენის შემდგომ.
წარმოადგინეთ განახლებული ფოტომასალა სადაც ნაჩვენები იქნება ყველა ფასადი სათითაოდ, გადაღებული ახლო და შორი ხედიდან თარიღების მითითებით.
ზედამხედველობის დოკუმენტში არის აღწერილი კონსტრუქციული ნაწილის ცვლილება. წარმოადგინეთ სპეციალისტის მიერ შესრულებული დასკვნა, რომ აღნიშნული შენობის კონსტრუქციული ნაწილი მისაღებია და უსაფრთხო. ხელმოწერილი და შესაბამისად დამოწმებული.
.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: ატვირთეთ ახალი დათარიღებული ფოტომასალა, გადაღებული შენობის ყველა მხრიდან.
ზემოთ აღწერილი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, სამსახური სრულყოფილად ვერ იმსჯელებს წინამდებარე საკითხზე.
გაითვალისწინეთ არსრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის გამო სამსახური ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.